

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება სახელმწიფო
სოციალური მუშაკების მიერ საქართველოში

ნანა გოჩიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი, ასოცირებული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოუქვეყნებელ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნანა გოჩიაშვილი

22 ივნისი, 2018 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა აღწერს საქართველოში სახელმწიფო სოციალური მუშაკების მიერ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენების პრაქტიკას. მთავარ საკვლევ საკითხს წარმოადგენს: კონკრეტული შემთხვევების ფაქტობრივი გარემოებებისა და სოციალური მუშაკის მიერ განხორციელებულ ინტერვენციების ანალიზზე დაყრდნობით განსაზღვროს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენების ძირითადი მახასიათებლები სახელმწიფო სოციალური მუშაკების მიერ.

ნაშრომის მიზანია, აღწეროს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკები შემთხვევების მართვის დროს იყენებენ თუ არა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას, როგორ განმარტავენ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შემთხვევებზე მუშაობის დროს.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, საკვლევ საკითხებს წარმოადგენს: როგორ განმარტავენ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკები ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას; რა ფორმითა და მოცულობით იყენებენ ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შემთხვევების მართვის დროს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას.

კვლევის მეთოდად განისაზღვრა თვისებრივი, შემთხვევის შესწავლის მეთოდი. მონაცემების შეგროვება განხორციელდა სიღრმისეული არასტრუქტურირებული ინტერვიუს საშუალებით და გამოიკითხნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკები.

კვლევის შედეგების მიხედვით, დღეისათვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკები იცნობენ ადამიანის ძირითად უფლებებს, თუმცა არ აქვთ სიღრმისეული ცოდნა უფლების შინაარსის შესახებ; შემთხვევის მართვა არ ეყრდნობა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომის ძირითად მოთხოვნებს; ბავშვებთან მუშაობის პროცესში აღიარებენ ბავშვის საუკეთესო ინტერესის დადგენის მნიშვნელობას, თუმცა არ აქვთ განსაზღვრული საუკეთესო ინტერესის დამდგენი პროცედურები და არსებითი მახასიათებლები.; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების/ბავშვების შემთხვევების მართვის დროს ნაკლებად ეყრდნობიან გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციით გათვალისწინებულ უფლებების შინაარსს.

კვლევის შედეგების მნიშვნელობა განპირობებულია საქართველოში ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის პროცესში სოციალური მუშაკის უმთავრესი როლით და ამის ფონზე ქვეყანაში ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული გამოწვევების მაღალი მაჩვენებლით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სოციალური სამუშაო, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, ბავშვთა უფლებები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები.

Abstract

The present study describes the practice of using a human rights-based approach by state social workers in Georgia. The main study question is to determine the key characteristics of the use of a human-based approach based on the factual circumstances of the specific cases and the interventions carried out by the state social workers.

The paper aims to provide a description of whether the social workers of the Social Service Agency of the Ministry of Labor, Health and Social Affairs of Georgia use a human rights-based approach in their cases and to demonstrate their interpretation of the human rights-based approach while working on cases involving children and persons with disabilities.

Based on the purpose of the research, the study topics are: How do social workers employed in the Social Service Agency interpret a human-based approach; In what form and capacity is the human rights-based approach used while dealing with children and persons with disabilities.

The method of study is a qualitative, case-by-case approach. The data was collected through in-depth, unstructured interviews with the social workers employed at LEPL Social Service Agency of the Ministry of Labor, Health and Social Affairs of Georgia.

According to the results of the research, social workers employed at the LEPL Social Service Agency are familiar with the basic human rights, but do not have an in-depth understanding of those rights; The management of the case is not based on the fundamental demands of a human-based approach; In the process of working with children, they acknowledge the importance of determining the best interest of the child, however, they do not have appropriate procedures and essential characteristics for determining the best interest of the children. In the case of children/persons with disabilities, social workers are less likely to rely on the rights contained in the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities.

The importance of the research results is due to the central role of the social worker in the process of protection of children and persons with disabilities in Georgia and in this regard, the high level of challenges in the protection of children and persons with disabilities in the country.

Key words: social work, human rights-based approach, children's rights, rights of persons with disabilities.

მადლობა

მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, პროფესორ შორენა სამაგლიშვილს, რომელიც სტუდენტების მიმართ გამოხატული ნდობითა და სწორი მითითებებით, ყოველთვის გვარწმუნებს საკუთარ შესაძლებლობებში და გვეხმარება დასახული მიზნის მიღწევაში.

მადლობას ვუხდით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმ თანამშრომლებს, რომლებიც დამეხმარნენ რესპონდენტების შერჩევაში, ასევე ყველა სოციალურ მუშაკს, რომლებმაც დატვირთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, გამონახეს დრო და დამეხმარა კვლევის განხორციელებაში.

მადლობა ჩემს მეგობრებს, რომლებიც მუდმივად მამხნევებდნენ.